პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 5 სექტემბერი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თბილისად 60 კ.

# წითელი მხედარი

200 (898) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## პირველი ტერშეკრება დაიწყო.

დღეს იწყება საერთო ტერიტორიალური შეკრება.

ტერშეკრებაზე გამოწვეულია 1901 წელში დაბადებული მუშები და გლეხები. ტერშეკრება გაგრძელდება სულ ერთი თვე. ეს დრო მეტად მცირეა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ტერშეკრებამ უნდა მოგვცეს საკმაოდ დიდი ნაყოფი. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გამოწვეული ახალგაზრდობა ერთსულოვნად გაეშურება ტერშეკრებაზე და ამ ერთი თვის განმავლობაში მხნედ და ენერგიულად ჩაებმება სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობაში.

ეს პირველი ტერშეკრებაა. მისი წარმატებითი ჩატარებისაგან დამოკიდებულია ტერალმშენებლობის შემდეგი ნაყოფიერი განვითარება.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა ნათლად გვიკარნახებს ჩვენ სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ თავდაცვის საქმე. მუშურ-გლეხურ ქვეყანას ესაჭიროება მტკიცედ შეკავშირებული, სათანადოთ გაწვრთნილი და მაღალი საბრძოლო უნარის მქონე შეიარაღებული ძალა. ასეთია წითელი არმია. მაგრამ ის დღეს დიდათ შემცირებულია, ვინაიდან მუშურ-გლეხური ქვეყანა ჩაბმულია აღმშენებლობით მუშაობაში. ამავე დროს როგორც ზევით ვსთქვით კაპიტალისტური ქვეყნების არსებობა მოითხოვს ჩვენგან მუდამ მზად ვიყვეთ ყოველგვარ გარეშე საფრთხისათვის. ამისათვის საჭიროა საბჭოთა კავშირის ძლიერების სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ ამოცანას საუკეთესოდ სჭრის ტერიტორიალური სისტემა.

ტერსისტემა არ სწყვეტს რა მშრომელს მუშაობისაგან, ამავე დროს აცნობს მას სამხედრო საქმეს და ქმნის მისგან საკმაოდ გაწვრთნილ წითელ მეომარს.

ჩვენი ცხოვრების მშვიდობიანი პირობები, ჩვენი საერთო წინმსვლელობა და ზრდა სავსებით შესაძლებელს ქმნის ტერალმშენებლობის ფართე ნიადაგზე დაყენებას.

ტერალმშენებლობის წარმატებით წაყვანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მუშები და გლეხები ერთსულოვნად ჩაებმებიან მასში.

პირველი ტერშეკრება დაიწყო. როგორც ერთი დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს მასზე გაწვეული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. სირცხვილი მას ვინც გვერდს აუხვევს ტერშეკრებას.

ის მტერი და ორგულია საბჭოთა ხელისუფლების.

მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ასეთი არც ერთი აღმოჩნდება 1901 წელში დაბადებულ ცვალებადელების შორის.

1901 წ. ცვალებადელნო, ყველამ პირველ ტერშეკრებაზე.

მტკიცედ და ბეჯითად შეუდექით სამხედრო საქმის შესწავლას და წითელი არმიის საბრძოლო უნარის ამაღლებას.

## პარტიის კანდიდატების მიღების შესახებ.

ამ ჟამათ ჩვენს პარტუჯრედებში კანდიდატების მიღება ხდება ძველი წესით ე. ი. მეცამეტე პარტყრილობის დადგენილების თანახმად. ამ შემთხვევაში ბიურო-კოლექტივები არ ხელმძღვანელობენ მეთოთხმეტე პარტკონფერენციის დადგენილებებით, რომელმაც ზოგიერთი შესწორებები შეიტანა კანდიდატების მიღების წესში. აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს დადგენილების უმთავრესი პუნქტები.

1. ახალგაზრდა ლენინელთა კავშირიდან კანდიდატათ შემომსვლელს არ სჭირდება პერსონალური რეკომენდაციების წარმოდგენა, არამედ ის ადგენს თავის ორგანიზაციის დადგენილებას, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ამა და ამ ამხანაგს კავშირის ორგანიზაცია საჭიროთ სთვლის მიღებული იქნას პარტიის კანდიდატათ. ასეთი საბუთის წარმოდგენის შემდეგ, ამხანაგის კანდიდატათ მიღების შესახებ შეიძლება უჯრედში დაისვას საკითხი.

სხვა ფორმალურ მხარეების შესრულება ძველებურად რჩება. რაც შეეხება უპარტიო წ. მოლაშქრეს, რომელსაც სურს პარტიის კანდიდატათ შემოსვლა, მათთვის რეკომენდაციის რაოდენობა შემცირებულია სამიდგან ორამდის.

წინათ კანდიდატათ მიღების დროს, როგორც უჯრედები აგრეთვე ბ. კ. განსაკუთრებულ ამონაწერებს აკერებდენ პირად საქმეზე, რაც მეტ დ ოს და შრომას თხოულობდა. ასეთი ამონაწერები დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს და მის მაგიერათ თვით ანკეტის უკანასკნელ გვერდზედ არის ადგილი, რომელიც უჯრედმა და ბ. კოლექტივმა უნდა შეავსოს. იმ შემთხვევაში თუ კი რაიმე მიზეზით უჯრედი არ ღებულობს კანდიდატათ (მოუმზადებლობა) იმ შემთხვევაში ანკეტაში არაფერი არ იწერება და საქმეს გადადებენ სხვა დროისათვის და თუ უჯრედი კანდიდატათ არ ღებულობს, როგორც არასამედო პირს, იმ შემთხვევაში ანკეტაშიც აღნიშნავს ყველა მიზეზს და საქმე დარჩება უჯრედს, თუ კი უმაღლესი პარტიული ორგანო მოითხოვს, გადასცეს მას. აქვე მინდა აღვნიშნო ზოგიერთი შეცდომები, რომელსაც უშვებს, როგორც უჯრედი აგრეთვე ბ. კ. ეს არის უდროვოთ (საკანდიდატო სტაჟის შემოკლება) წევრათ დამტკიცება.

ეს ყოვლად დაუშვებელია. უსათუოთ ამ შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული წესდება და პარტკონფერენციის დადგენილება.

სტაჟის შემოკლებისათვის არ არსებობს არავითარი დებულებები. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამონაკლისი სახით დაუშვათ სტაჟის შემოკლება. ამისათვის უნდა იყოს აღნიშნული შუამდგომლობაში, თუ რა მიზეზით უკლებენ საკანდიდატო სტაჟს ამა თუ იმ ამხანაგს.

აი ყველა ის კითხვები, რომლებიც თუ ამ დრომდის არ ტარდებოდა აწი უსათუოდ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

ს. ლომიძე.

# ახალი რადიო-ამბები

## მუშათა მოძრაობა.

### გაფიცვის გასაძლიერებლად.

ქ. მელბურნში ინგლისელ მეზღვაურთა მასსიურმა მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია აფიცვების გაგრძელების სასარგებლოდ.

### პოლონეთის მელითონეთა გაფიცვა სოციალ-დემოკრატების წყალობით ჩაიშალა.

ვარშავის მელითონეთა გაფიცვა ჩაიშალა, რადგან პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მელითონეთა პროფკავშირებმა ხელი მოაწერეს მრეწველებთან ხელშეკრულებაზე, და პროფკავშირების ცეკამ უარი სთქვა დახმარებაზე, ნაცვლად მოთხოვნილ 60—100 პროც. გადიდებისა, მუშებმა მხოლოდ 10 პროც. გადიდება მიიღეს და ისინი იძულებულნი იყვნენ დაეწყოთ მუშაობა.

### ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ბულგარეთის ტერორის შესახებ.

ს. ს. ტ. საag. კორესპონდენტთან საუბრის დროს დეპუტატმა კრეიბიხმა, ჩეხო სლოვაკიის დელეგაციის თავმჯდომარემ, რომელიც ბულგარეთიდან გამოძევებული იქმნა, შემდეგი განაცხადა:

დელეგაცია მიზნად ისახავდა მოკლულთა და დატყვევებულთა ოჯახების დახმარებს ლეგალურ საშუალების აღმოჩენას.

დელეგაციამ შეძლო სოფიის ცენტრალურ ციხის დათვალიერება და იქ მყოფ ტყვე კომუნისტებთან საუბრობა, მათ შორის კაბაკჩიევთანაც. კრეიბიხის სიტყვით, არც ერთი მათგანი არ კარგავს ხსიათის სიმტკიცეს. საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციამ სურვილი გამოსთქვა უკანასკნელ სისხლიან ამბების მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სოფიის პოლიციის უფროსთან საუბრის შემდეგ დელეგაცია პოლიციის საშუალებით გაძევებული იქმნა ბულგარეთის საზღვრიდან.

კრეიბიხის სიტყვებით, ბულგარეთის ბურჟუაზიის ფართო წრეებში ამ აზრის არიან, რომ ცანკოვის მთავრობა უძლურია და ადრე მოელებ ბოლო. ბულგარეთის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა კატასტროფულია. მუშათა კლასი საშინელ სიღარიბეს განიცდის.

## საბჭოთა კავშირში

### განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესის გარშემო.

3 სექტემბერს ბრიუსელიდან მოსკოვში დაბრუნდა განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას დელეგაცია, რომელიც დაესწრო განათლების მუშაკთა პარიზის ინტერნაციონალის კონგრესს.



კორისტილევი.

საბჭოთა კავშირის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში დელეგაციის თავმჯდომარე კორისტილევმა განაცხადა, რომ კონგრესი გაიხსნა პარიზში, მაგრამ რადგანაც საბჭოთა დელეგაცია არ შეუშვეს საფრანგეთში, ის გადმოტანილ იქნა ბრიუსელში.

დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი საბჭოთა სექციის მოქმედებაზე მოხსენება და სასკოლო აღმშენებლობაზე საბჭოთა სოციალისტურ კავშირში.

### საყურადღებო საბუთი.

ლენინგრადში ყოფილ საგუბერნიო სამართველოს 1900 წლის არქივში, გუბერნატორის კანცელიარიაში აღმოაჩინეს მეტად საინტერესო ცირკულიარი. ცირკულიარში აღნიშნულია იმ პირთა ჯგუფი, რომლებსაც ეკრძალებოდა პეტერბურგის გუბერნიის ფარგლებში ცხოვრება. სიაში აღნიშნულია, ქალაქ სიმბირსკის მკვიდრი ნაფიცი ვექილის თანაშემწე ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი და ინჟენერ-ტეხნოლოგი ქალაქ სამარის მკვიდრი გლებ მაქსიმეს ძე კრიჟანოვსკი.

საგუბერნიო არქივმა ეს საყურადღებო საბუთი გადასცა ლენინის სახელობის ინსტიტუტს.

ორშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე თავის განყოფილებათა გამგეების კაბინეტში მიწვეულია ტფ. საბჭოს ყველა სექციების ბიუროს სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) სექციის მომავალი მუშაობის გეგმების გამომუშავება.

2) მიმდინარე საკითხები.

ყველა სექციების ბიუროს წევრების და კანდიდატების, სექციის თავმჯდომარეების და ქვე/სექციების მუშაობის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის
ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

## ლონისძიებანი მიწათ-მოწყობის საქმეში.

საკავშირო ცაკის და სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად გვალვასთან საბრძოლველად განსაკუთრებული ფონდის შექმნის შესახებ, ს. ს. ფ. რ. მიწადმოქმედების კომისარიატმა განკარგულება მისცა გვალვიან რაიონების მიწადმოქმედების ორგანოებს გამოიმუშაონ მიწათმოწყობის გეგმა, რომელიც უნდა გატარდეს აღნიშნულ ფონდის ხარჯზე.

## მილიციის უფროსთა შემადგენლობის ახალი კადრი.

შინ. საქმეთა სახ. კომისარიატში ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, რესპუბლიკის მილიციის უფროსთა მოსამზადებელ სკოლის უფროსის მოადგილემ განაცხადა:

— ადმინისტრაციის სიჯანსაღეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოთ სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის. ადმინისტრაციას ყოველთვის უხდება მოსახლეობაში უშუალო ტრიალი და მაშინ; როდესაც ხელისუფლებას მიზნათ აქვს დასახული გლეხობის კულტურულ-ეკონომიური დონის ამაღლება და სოფლისა და ქალაქის დაახლოება, მაშინ როდესაც პარტიამ სახელმძღვანელოთ გაიხადა ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ,“ — უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სოფლათ ადმინისტრატორების მოქმედებას. გლეხი თავის წარმოდგენას მთავრობაზე, ამყარებს იმ ხელისუფლებაზე შეხედულებით, რომელთანაც მას უხდება მუდმივი დამოკიდებულება. სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებული ადმინისტრატორები ჩვენ ძალიან ცოტანი გვყანან და ამ მხრივ რესპუბლიკა, პირდაპირ სიმშილს განიცდის.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო შინ. საქ. სახ. კომისარიატთან არსებულმა რესპუბლიკის მილიციის მთავარმა სამმართველომ დაადგინა მოეწყო, მილიციის უფროსთა მოსამზადებელი კურსები ანუ სკოლა.

ცხლახან კურსები დაამთავრა 50 კაცმა. მათ შორის არიან ისეთები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა წარჩინებით და რომელნიც გაგზავნილ იქნენ მაზრ. მილ. უფროსების თანაშემწეებათ.

აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობა სწარმოებდა შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში, ანგარიშში, სისხლის სამართალი, სისხლის სამ. პროცესი, სისხლის სამართლის ტეხნიკა და ტაქტიკა, შრომის კოდექსი, მიწის კოდექსი, სამხედრო ხელოვნება, ადმინისტრატიული სამართალი, სანიტარია, ჩქარი საექიმო დახმარება, ს. ს. რ. კონსტიტუცია და სხვა.

ლექტორებათ მოწვეულნი გვყავდნენ ტფილისის გამოჩენილი პედაგოგები, იურისტები და ექიმები.

კურს დამთავრებულნი უკვე დავაგზავნეთ ადგილებზე მაზრო-ქალაქების მილიციის უფროსების თანაშემწეებათ.

კურსებზე წარმოდგენილნი იყვნენ მსმენელებათ რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან. მათ შორის იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც: რუსები, სომხები, მუსლიმანები, ოსები და სხ. მათ შორის ყველამ იცოდა ქართული ენა და მეცადინეობაც სწარმოებდა მხოლოთ ქართულ ენაზე. მსმენელებმა დიდი გულმოდგინეობა გამოიჩინეს და გამოცდებიც ყველამ კარგათ ჩააბარა.

კურსებზე მეცადინეობა განახლდება ოქტომბერში.

## შვებულების წინ წითელ არმიელის წერილი შვებულებაში მიმავალ არმიელებისადმი.

ამხ. წითელ არმიელებო! ძლიერ ცოტა დრო დაგრჩათ უვადო შვებულებაში წასვლამდე.

ეს მცირე დრო რომელიც, თქვენ გაქვთ უნდა გამოიყენოთ ისე, რომ არც ერთი წუთი არ დაკარგოთ ტყუილუბრალოდ და უნდა შეიძინოთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა.

უმრავლესობა თქვენგანი გლეხის შვილებია, რომლებიც დაბრუნდებიან რა სოფლათ, მიჰყოფენ ხელს სოფლის მეურნეობის აყვავებას. უნდა გახსოვდეთ რომ სოფლად დაბრუნების შემდეგ თქვენ გაერთობით მეურნეობაში და ამიტომაც თქვენ აღარ გექნებათ ის თავისუფალი დრო და საშვალება სწავლისა, რომელიც თქვენ გაქვთ ახლა წითელ ყაზარმებში ყოფნისას. ამიტომაც ამხანაგებო, მთელი თქვენი ენერგია უნდა მოანდომოთ მას რომ შეიძინოთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. გახსოვდეთ რომ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნით შეიარაღებულ წითელ არმიას ვერაფერს დააკლებენ ის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც ძაღლებივით ღრენენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ლამობენ ჩვენ დაპყრობას.

გახსოვდეთ რომ ერთ-ერთი საუკეთესო საშვალება ცოდნის შეძენის არის წიგნი. დაუმეგობრდით ბიბლიოთეკას და იკითხეთ წიგნები და შეიარაღდით ლენინიზმის ცოდნით. სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილია და მას ესაჭიროება სწავლა განათლება. ამ მხრივ ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს, რომ თქვენ წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას გადასცემთ სოფლათ თქვენვე ამხანაგებს, თქვენ უნდა შესძლოთ ეს.

წ. არმ. ობანოვი.

---

**ჩაქუჩი, თოფი და თოხი მშრომელთა ხელში თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.**

---

## ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა.

### საქ. ცაკში.

— **სახანძრე ინსპექცია.** ცაკმა დაამტკიცა დებულების პროექტი შინ. საქმ. სახ. კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან სახანძრე ინსპექციის დაარსების შესახებ.

— **ლენინის თხზულებათ გაიაფება.** ცაკის მიერ მიღებულ 15 ათასი მანეთი ლენინის თხზულებათა გასაიაფებლათ გადაეცა სახალხო გამომცემლობას.

— **დახმარება ჯარიდან დაბრუნებულებს.** საქართველოს ცაკმა აღძრა შუამდგომლობა ა. კ. ცაკის წინაშე ცალკე კრედიტის გაცემის შესახებ ჯარიდან დაბრუნებულ წითელ არმიელთა დასახმარებლათ.

— ცაკმა დაადგინა დაბეგროს კინოსი და თეატრების ბილეთები 5 პროცენტით. აქედან ნაწილი მიეცემა წითელ ჯვარს და ნაწილი სოც. უზრ. კომისარიატს.

---

**მხურვალე სალამი საქართველოს ტერ-არმიელებს.**

---

## სამხედრო საქმე არ დაივიწყო სოფელში.

სოფელი ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყოველივე იმას, რაც ეხება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და საბჭოების აღდგენის და ქვეყნის დაცვის საქმეს.

გლეხს არ სურს ომი, რადგან ის დაინტერესებულია თავის მეურნეობის სწრაფ აღდგენაში და ომი კი მძიმე ლოდივით აწვება სახელმწიფოს მთელ მეურნეობას. გლეხს, როცა ჩაწვდება ყურში ჩვენი დასავლეთ მეზობლების ან ამერიკის ახალ შეიარაღების ამბავი, მაშინვე ჩაფიქრდება ამ საკითხზე: „ჩვენთან როგორაა ნეტავ ამ მხრივ დაყენებული საქმე?“ თუ ამ დროს მის მახლობლად არ იქნა ისეთი ვინმე, რომელიც აუხსნიდა წითელი არმიის სიძლიერეს, ისე კი გლეხი დიდ ხანს იტანჯებოდა და იწუხებდა ამ მისთვის გადაუწყვეტავი საკითხის შესახებ. ბევრი სხვა ასეთი საკითხები რჩება გლეხისთვის გადაუწყვეტი. ისჭირებს კაცს, რომელიც აუხსნიდა მას ყველა მისთვის გაუგებარ საკითხებს. ასეთი კაცი სოფელში უნდა იყოს უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელი. მას მოუთმენლად ელის სოფელი.

აი შვებული ჩავიდა სამშობლოში და მთელი სოფელი რამოდენიმე დღის განმავლობაში მაზე ლაპარაკობს: „როგორ ჯანსაღი და განვითარებული დაბრუნდა ჯარიდან ბარაბაძე. სუფთად და კარგათაა ჩაცმული. როგორც სჩანს კარგად კვებავენ და აცმევენ ჯარში. თან ჩამოიტანა სხვა და სხვა წიგნები, კარგათ კითხულობს და ხსნის როგორც სამხედროს, ისე სოფლის საკითხებს“.

შემდეგ... ყრილობა... გლეხები უცდიან, თუ რას იტყვიან შვებული წითელი არმიელები. თუ რამდენად ძლიერად შეუძლიათ მათ საბჭოთა ხელისუფლების დაცვა, რომელმაც გლეხს მიწა მისცა. აი სწორედ ამ მიმართულებით და პირობებში უნდა აწარმოვოს მან თავისი მუშაობა სოფლად. ძალიან ხელსაყრელი პირობებია მუშაობისთვის. შვებულ წითელ არმიელს არ დასჭირდება საბჭოების მნიშვნელობაზე ახსნა, რადგან მისი მნიშვნელობა გლეხებმაც კარგათ იციან. მხოლოდ დიდხანს დასჭირდება შვებულ წითელარმიელს, რომ აუხსნას გლეხს წითელარმიის, ტერიტორიალურ სისტემის, გაწვევამდე მომზადების და მოსახლეობის გასამხედროების მნიშვნელობა.

აქ ერთი შემთხვევითი საუბრით ვერ ამოწურავთ ყველა საკითხებს. საჭიროა ამის ორგანიზაციულად მოწყობა. სალამოობით ქოხ-სამკითხველოებში უნდა იქნეს ჩატარებული საუბრები: რისთვის გვჭირია წითელი არმია, როგორ ცხოვრობს და სწავლობს ის; რა არის ტერნაწილი, რა მოაქვს გლეხისთვის მას და რად დაგვჭირდა ჩვენ ტერსისტემის ეხლა შემოღება. ტერსისტემის მომავალი. როგორ უნდა დავიცვათ თავი და რა უნდა იცოდეს საბჭოთა კავშირის ყოველმა მოქალაქემ, რომ დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

ამ მუშაობის შესრულება უსათუოდ უნდა შესძლოს შვებულმა. თუ ამას ვერ შესძლებ, გლეხს დაეკარგება შენში ნდობა და შენ დარჩები გარიყული.

დაიმახსოვრე ეს და ემზადე სოფლად მუშაობისათვის.

ი. ბარ.

---

**ცვალებადელნო, მხნეთ გაეშურეთ წითელ არმიის რიგებისაკენ. იცოდეთ რომ თქვენზე ზრუნავს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი.**

---

## ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ.

(მე-XI საერთაშორისო ახალ გაზრდათა დღის გამო)

ათი წლის წინედ სოციალისტურ მუშათა ახალგაზრდობის მცირე რაზმები, უმეტეს შემთხვევაში ცენტრალურ სახელმწიფოებიდან გამოვიდნენ „საერთო განიარაღების“ მოთხოვნილებით იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

მტაცებლურ ომის გულწრფელი მოწინააღმდეგენი, საშინელ სიძულვილით აღჭურვილნი ბურჟუაზიის და მის გათახსირებულ ლაქიების სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ახალგაზრდა დემონსტრანტები ჯერ კიდევ არ იცნობდენ ბრძოლის უფრო მიზანშეწონილ საშუალებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იმათ არ იცოდენ, რომ „დაჩაგრული კლასი, რომელიც არ ილტვის იქითკენ, რომ შეისწავლოს იარაღის ხმარება, იქონიოს იარაღი, ღირსია მხოლოდ იმის, რომ მას იპყრობდენ, როგორც მონას“ (ლენინი).

მათ არ იცოდნენ, რომ

„ჩვენი ლოზუნგათ უნდა იყოს პროლეტარიატის შეიარაღება, რათა დავამარცხოთ, ექსპროპრიაცია უყოთ და განვაიარაღოთ ბურჟუაზია“ (ლენინი, მისი ნაწერების კრებული, ტ. 13 გვ. 444).

განადგურების გაუგონარ იარაღების მუშაობამ, ზარბაზნების ქუხილმა, ტყვიამფრქვევის ხმაურობამ, მომაკვდავთა კვნესამ და გამხეცებულ ბურჟუაზიის აღვირახსნილობამ და ჩქმალეს აღშფოთების სუსტი ხმა. ცეცხლიან ომის კვამლმა გადაეფარა სუსტათ აწეულ საპროტესტო დროშას.

მას მერე ათმა წელმა განვლო. ამ დროში დედა მიწის ერთი მეექვსედი წითელი ფერით შეიღება. მიუწვდომელ კლდეთ აღმოცენდა პროლეტარულ დიქტატურის ახალი სახელმწიფო, რომელზედაც დაეხეთქენ იმპერიალიზმის უხვ ხელით გამოგზავნილი გემები.

ლენინის ხელმძღვანელობით გაიზარდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ახალი მრავალ მილიონიანი არმია — კომუნისტური ინტერნაციონალი.

ენკენისთვის პირველი კვირა — საერთაშორისო ახალგაზრდათა დღე — ომის წინააღმდეგ სუსტ მშვიდობიან პროტესტის ნაცვლად, შეიქმნა მსოფლიო პროლეტარულ ახალგაზრდობის ერთგვარ საპირველ-მაისო დღესასწაულად, როდესაც ის ათვალიერებს თავის ძალებს.

წლიდან — წლამდე კომინტერნის მებრძოლ რაზმების დემონსტრაციები მძლავრი და შემაფიქრიანებელი ხდება.

კვირას ჩვენ მეთერთმეტედ ვდღესასწაულობთ საერთაშორისო ახალგაზრდათა დღეს.

როგორც ამ ათი წლის განმავლობაში, ისე კვირას ყველა ქვეყნის და ერის ბურჟუაზიული პოლიცია შეეცდება ჩვენი ძმურ ორგანიზაციათა კრებების და დემონსტრაციების ჩაშლას, დევნას და აწიოკებას.

ცანკოვის ჯალათები, პოლონელი აზნაურები, გერმანელი, იტალიელი, რუმინელი ფაშისტები, — ამერიკელი კუკუს-კლაინისტები (იგივე ფაშისტები) და სხვა მხეცები, აუცილებლივ ამ დღეს გამოვლენ თავის ბოროტ სამუშაოზე. ციხეები და ბნელი სარდაფები შეივსებიან ახალ მსხვერპლით.

მაგრამ, ვერავითარი საშუალო საუკუნეების მსგავსი წამებანი, მკვლელობის და წამების ვერავითარი ამერიკული ახალი „გაუმჯობესებული“ საშუალებები ვერ შეაჩერებენ რევოლიუციონურ ტალღების მძლავრ მსვლელობას.

ჩვენს ბანაკს ახალი ძალები ემატება. დასავლეთ ევროპიელი მუშა თანდათანობით რჩება შემთანხმებელთა საწამლავისაგან, იშორებს მენშევიკურ ჭორს საბჭოთა კავშირის შესახებ და იჩქარის ჩვენდა დასახმარებლად. ის იკრებს ძალებს, რათა მოგვებაძოს ჩვენ.

დასავლეთ ევროპის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია სიმართლეს იტყვის ჩვენს მიღწევებზე, რაც დაუყონებლივ გამოიწვევს ახალ ძალების დენას ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალისაკენ.

ნაციონალური გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში, მაროკოში და ახალშენებში, საუკეთესო დამამტკიცებელია მისი, რომ კაპიტალიზმი ჩიხშია, რომ პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს მსოფლიოში.

ჩვენი საზღვარგარეთელი ძმები ბევრ გაჭირვებას, სიმძიმეს და დანაკლისს ნახულობენ ბრძოლაში. ცანკოვის ნაჯახის და სახრჩობელის წინაშე ჩვენი ბულგარელი ამხანაგები ძალა-უნებურად იხევენ უკან.

უჩვეულო ვაჟკაცობის და თავგანწირვის მაგალითი ჩვენ მოგვცა ამხ. ამხ. ფრიდმანმა, ბოტვინმა და სხვებმა, რომელთა ხსოვნა მუდამ იქნება ახალგაზრდა რევოლიუციონერთა გულში, როგორც რევოლიუციისათვის წამებულებთა. ჩვენ კომკავშირელებს და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება ამ დღესასწაულის ჩატარება.

ჩვენ ვანგარიშობთ ჩვენს ძალებს, ვათვალიერებთ მებრძოლ რაზმებს, — ვზრუნავთ კომკავშირის რიგების მუშათა და გლეხთა გაერთიანების შენახვა და განმტკიცებაზე. ჩვენ უნდა დავიპყრათ მთელი მუშათა ახალგაზრდობა, უნდა ვიზრუნოთ სოფლად გლეხურ ახალგაზრდობის ფართე მასების დასაპყრო ბად, ვზრუნავთ ნახევარ-მილიონიან არმიის ლენინურ აღზრდაზე, — მაგრამ ამავე დროს, ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ აღმოსავლეთ და დასავლეთის ჩვენ ძმურ ორგანიზაციებზე.

კომუნიზმის საბოლოო და სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო რევოლიუციის შედეგად. საზღვარგარეთელ ამხანაგებთან ერთად ჩვენც ვემზადებით ამ დღისათვის, მას შევსწირავთ ჩვენ ახალგაზრდულ სიცოცხლეს.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობავ გაამტკიცე კავშირი დასავლეთის ძმებთან!

ი. ვა.—ივი.

# 1901 წლის ცვალებადელნო ყველამ პირველ ტერ-შეკრებაზე!

## წითელი არმია თქვენ გიწვევთ ერთი თვით რომ გააფართოვოთ თქვენი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა!

### ჩვენ არ გვაშინებს.

ჩვენ არ გვაშინებს მტრების სისინი,
მათი მუქარა გულს არ გვიტეხავს,
მედგრათ მივდივართ გამარჯვებისკენ
და ჩვენი ძალა კლდესაც გასტეხავს.

ურიცხვი მტერი მოვსპეთ-გავაქრეთ;
დღეს აღარ არის მათი ხსენება.
ძველის ნანგრევზე ახალს აშენებს
მშრომელი ხალხის ამაყი ნება.

და ამ ქვეყანას ახალს, ლამაზსა,
იცავს მახვილით წითელი ჯარი,
და თუ კი ვინმე მას ხელს შეახებს
თავზარსა დასცემს შეუპოვარი.

ჩვენ არ გვაშინებს მტერის მუქარა,
წინ მივისწრაფით გამარჯვებისკენ
და თან აჩრდილი დიდის ბელადის
გვინათებს გზასა მომავალისკენ.

ე. ხუციშვილი.

### ტერ-არმიელები ბანაკში.

2-რე არტლეგიონი.

სექტემბრის პირველიდან ხსენებული ლეგიონი გადავიდა ბანაკში. წითელ არმიელები დიდი სიხარულით შეეგებენ საბანაკო ყოფა ცხოვრებას. ჩვეულებრივი ხალისი და ინტერესი სამხედრო სწავლებისა თუ კულტურულ მუშაობისადმი კიდევ უფრო გაცხოველდა ამხანაგებში.

მისვლისთანავე შეუდგენ ყველა თავთავიანთი მოვალეობის ასრულებას. მოეწყო ლენინის კარვები, სადაც უკვე სწარმოებს მეცადინეობა.

მეორე დღეს მოწვეული იქნა ლეგიონის ლიტერატურული წრის წევრთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა ლიტერატურული გასამართლების მოწყობა.

გასამართლებული იქნება დანიელ ჭონქაძის მოთხრობის გმირი „ვარდუა“. დამცველები, მოწმეები და ბრალდებულები წინასწარ იქნენ ამორჩეული.

ამას გარდა ლეგიონში ამავე დღეს შესდგა სარედაქციო კოლეგიის სხდომა, რომელმაც მოაგვარა საჭირო საკითხები გაზეთის გამოცემის შესახებ.

ამნაირად ბანაკში გასვლისთანავე შეუდექით ჩვეულებრივი მუშაობის წარმოებას და იმედი გვაქვს უფრო ინტენსიურად იწარმოებს.

კ—ძე.

### ცვალებადელთა კონფერენცია ჩვენთან.

მე-4ე ტერ-ლეგ.

აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ჩვენს სამეკადინო წერტზედ მოწვეულ იქნა ცვალებადთა კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდენ 90 პრ. ცვალებადელების. კონფერენციის პრეზიდიუმში საპატიო თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. კორკი, ქუთათელაძე და მარკაროვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ს ერთაშორისო მდგომარეობაზე, გააკეთეს ადგილობრივ პარტორგანიზაციების წარმომადგენლებმა
2. მოხსენება ტერალმშენებლობაზე კი ჩვენმა პარტამხანაგებმა.

საერთაშორისო მდგომარეობასა და ტერსისტემის მნიშვნელობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ განმარტებული იქნა ტერრწმუნებულების შესახებ.

მომხსენებელმა დაწვრილებით აუხსნა ამხანაგებს თუ რა როლს თამაშობს ტერრწმუნებული, ტერკორი და სამხედრო კუთხე ტერიტორიალურ ნაწილში. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნაწილში მათ წესიერად დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ნაწილის წარმატებისათვის.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია ტერარმიელებისაგან ტერრწმუნებულის მოვალეობაზე.

კონფერენცია ძლიერ შინაარსიანად ჩატარდა.

რეზოლიუციაში, რომელიც გამოტანილი იქნა მოხსენებების გარშემო ნათქვამია, რომ ცვალებადელები ყოველ წუთს მზად იქნებიან უყოყმანოდ შეასრულონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ყოველგვარი დავალება და ხელი შეუწყონ წითელი ჯარის განმტკიცების საქმეს.

საღამოს კონფერენციის მონაწილე ყველა ცვალებადელები მიწვეულ იქნენ ადგილობრივ ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის კინოში.

სამხკორი შ. ღ—ძე.

### ჩვენი ლეგ. კოოპერატივი გამოკეთდა.

პირველი ლეგიონი.

დიდი ხანი არ არის რაც ვალად მოიპოება.

ჩვენი ლეგიონი ბანაკიდან გადმოვიდა საზამთრო ყაზარმებში. კოოპერატივი ამიტომ ხელ-ახლა მოსაწყობი შეიქნა. სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩვეულებრივად მოეწყო კოოპერატივი, სადაც მოიპოება ყველა საჭირო და აუცილებელი საგნები.

თამბაქო, კანვერტი, ქაღალდი და პური მუდამ დღე მრავალი...

უსურვებთ კოოპერატივის გამგეს ასე გაეგრძელებიოს საჭირო საგნების მოწოდების საქმე შემდეგშიდაც.

ეს რამოდენიმე ხანია, რომ ჩვენი წითელ-არმიელები აღარ ჩავარდნილან ჩარჩ ვაჭრების ხელში, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს ჩვენს კოოპერატივს.

სამხკორი ვ. ჩ—ლი.

### მოხსენება მომენტზე.

მეთაურთა სამხედრო სკოლა.

31 აგვისტოს შესდგა სკოლის კურსანტების და მეთაურების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მომენტის შესახებ ამხ. ტალახაძე. სკოლის მთელი შემადგენლობა ყურადღებით უსმენდა ამხ. მეტად საყურადღებო საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს. ამხ. შეეხო კაპიტალიზმის დროებითი განმტკიცების და საბჭოთა კავშირის სიძლიერეს, კომინტერნის მოღვაწეობას საერთაშორისო მუშათა რაზმის თავის გარშემო შემოკრებაში და მრავალი სხვა.

ამხ. დაწვრილებით შეეხო აგრეთვე სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა დელეგაციების ჩამოსვლის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირში და როგორი შედეგების მოტანა შეუძლია მას მრავალი გაურკვეველი საკითხები სრულიად ნათელი გახდა ჩვენთვის ამხანაგის მოხსენების შემდეგ.

მოხსენებამ გასტანა თითქმის საათნახევარი რის შემდეგ სათანადო რეზოლიუციის გამოტანა მიენდო ბიურო კოლექტივს.

სამხკორი ა. რ.

# მანევრებზე

## სამხკორო, მოიწერე მანევრების შესახებ

### კავშირი გლეხებთან.

(მე-3 ლეგ.)

27 აგვისტო.

ამ დღეს ლეგიონი მიემგზავრება სოფელ № სოფელ X მიმართულებით. სოფლის მცხოვრებლები აღტაცებით შეგვხვდენ. მცირე ხნით შესვენების შემდეგ გლეხებთან ჩავატარეთ საუბარი. დაესწრო 60-მდე გლეხები და გლეხის ქალები. შემდეგ გავმართეთ გლეხებთან ერთად ფეხბურთის თამაში, გადაღებილი იქნა ორ ჯგუფათ ფოტოგრაფიული სურათები და სხვა.

ამავე დღეს სოფ. №, რომელიც ერთი ვერსითაა დაშორებული სოფ. X-ზე მოწვეული იქნა როგორც პარტიული, ისე საერთო კრება, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ალლუმების, ტერსისტემის, საგლეხო გადასახადის და სხვა საჭირბოროტო კითხვებზე.

28 აგვისტო.

28 აგვისტო დასვენების დღეთ გამოცხადდა. ამ დღეს გაირჩა თუ ვინ რა გააკეთა. ჩვენი ლეგიონი ამ დღეს ისვენებდა სოფ. X-ში. არც ერთ საჩივარს არ ჰქონია ადგილი გლეხების მხრივ. ჩვენი არმიელები ზრდილობიანათ და შეგნებით ეკიდებოდენ გლეხებს, უკითხავდენ გაზეთებს, მართავდენ სჯა ბაასს და სხვა.

ამ სოფელში არ იყო სამკითხველო, რომელიც გახსნა ერთერთმა ჯარის ნაწილმა, რომელსაც ჩვენ შევსწირეთ ოცდა ათი სხვა და სხვა ხასიათის წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. აქვე ჩავატარეთ ალ. კ. კ. კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ა. ლ. კ. კ. საერთაშორისო დღეზე და ა. ლ. კ. კ. ამოცანებზე სოფლად მუშაობაში. საღამოზე მოწვეულ იქნა მიტინგი.

გასამართლებული იქნა გლეხი ნიკა ზარმაცაძე, რომელსაც ბრალათ ედებოდა უსუფთაობა. საბრალმდებლო სკამზე იჯდა წითელარმიელი გლეხის ტანისამოსში.

სასამართლომ ნიკა ზარმაცაძეს სათანადო მსჯავრი დასდო, რამაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებში და ქალებში.

ამის შემდეგ გაკეთებული იქნა მოხსენება წითელი არმიის და გლეხობის კავშირის, ტერსისტემის და მე-III სესიის შესახებ.

გავმართეთ აგრეთვე წარმოდგენა. წაკითხული იქნა იუმორისტული სცენები და ლექსები. გლეხები დიდათ ნასიამოვნები დარჩენ ასეთი მოპყრობით.

ამავე დღეს საექიმო დახმარება გაეწია 30 გლეხს, რომლებიც დაავადებული იყვენ მალიარიით, რაც უმთავრესად გამოწვეულია დუხჭირი ცხოვრების პირობებით.

ხშირად შეხვდებით, რომ გლეხი სადაც ცხოვრობს იმავე სახლის წინ მთელი წლის განმავლობაში ყრის ნაგავს, და ვერ იცავენ სისუფთავეს.

სოფელს არ აქვს სკოლა, უმეტესობამ არ იცის წერა-კითხვა, არც იწუხებენ თავს მაინც და მაინც. უმეტესათ მისდევენ პურის და სიმინდის მოყვანას. ნაწილობრივ მებოსტნეობას. სიმინდი და პური თითქმის ყველას საყოფათ მოყავს. საჭიროა ასეთ სოფლებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

გოგია ჭ-ლელი.

### ექსკურსიაზე.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდი და ბატარეია.

2-სექტემბერს აღნიშნული გუნდის წითელ არმიელები წაგვიყვანეს ექსკურსიაზე. ჩვენი მიზანი იყო დაგვეთვალიერებია სამხატვრო გალერეია, რისაც მოუთმენლად ველოდით. მხიარული სიმღერით მივადექით გალერეიას. აუარება სურათებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ძველი და ახალი მხატვრობა, მათ შორის განსხვავება და სხვა დაწვრილებით გაგვიმარტეს.

საერთოდ ყველა დიდი კმაყოფილი დარჩენ ნახულით.

ამის შემდეგ გაუდექით გზას გლეხთა ცენტრალურ სახლისაკენ. შესვლისთანვე შამოგვეგება სახლის გამგე ამხ. ხარაძე და დაგვათვალიერებია დაწვრილებით გლეხების ოთახები, აბანო, მუზეუმი და სამკითხველო, ამას შემდეგ კი თავი მოვიყარეთ საერთო დარბაზში, სადაც ამხ. გამგემ მეგობრულ საუბარში აგვიხსნა სახლის მნიშვნელობა, მისი პირობები და მრავალი სხვა.

თითქმის ყველა ამხანაგებმა მისცეს გამგეს ს.ინტერესო შეკითხვები, რომელიც დაწვრილებით აძლევდა ყველას საჭირო ახსნა-განმარტებას.

მადლიერმა არმიელებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს გამგე და კმაყოფილი გავეშურეთ ლეგიონისაკენ.

ფშნის პირელი.

### როდის გასწმენდენ?

(პირველი ლეგ. კომენდანტის საყურადღებოთ.)

პირველი ლეგიონის მეორე ათასეულის წინ მოთავსებულია ფეხის ადგილი, რომელიც დიდი ხანია არ გაწმენდილა. საშინელი სუნი და უსუფთაობა ვრცელდება აქედან ეზოში. ვინ იცის რას გამოიწვევს ამ სიცხეებში ასეთი უყურადღებობა.

ლეგიონის კომენდანტო მიაქციეთ ყურადღება, გააწმენდიეთ აღნიშნული ადგილი, თორემ თუ თავი იჩინა გადამდებმა სნეულებამ შემდეგ გვიანღა იქნება თითებზე კბენანი.

სამხკორი ნაჯახოველი.

### ჩვენი სამზადისი შესახვედრად და მთავრდა.

(მე-5 ე ტერ-ლეგიონი.)

25 აგვისტოდან ჩვენი ლეგიონის ბიურო კოლექტივმა გამოყო პოლიტმომუშავენი, რომელთაც დაევალათ სოფლებში ტერალმშენებლობის მნიშვნელობაზედ კამპანიის ჩატარება. ქუთაისის ახლო მდებარე ყველა რაიონებში იქმნენ მოწვეული გლეხთა კრებები, რომელთაც გაუკეთეს მოხსენებები მდაბიო ენაზედ ტერსისტემის შესახებ.

მოხსენებების შემდეგ ადგილობრივ დაწესებულებებს და უჯრედებს გადაეცათ თეზისები, საიდანაც უფრო დაწვრილებით შეეძლოთ შეეთვისებათ ყოველივე.

კერძოდ ჩვენი ლეგიონის საშეფო სოფ. მესხეთში იქმნა ჩატარებული საღამო, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზედ. საღამოს დამთავრების შემდეგ საშეფო კომისიის წევრმა გადასცა გლეხებს ქოხ-სამკითხველოსთვის წიგნები.

კლუბი შეუდგა ახალი შენობის მორთვას პლაკატებით და ლოზუნგებით. ბიბლიოთეკამ გამოყო ლიტერატურა ლენ კუთხეების მოსაწყობად. დრამატიული წრე ამზადებს პიესას ცვალებადელთა შესახვედრად. ასე რომ მთელი ყურადღება მიქცეულია შენობების მოწყობა—გალამაზებაზე რათა ახლად მოსულმა წითელმა არმიელმა არ იუცხოვოს ყაზარმული ცხოვრება.

სამხკორი კ. ღ—ძე.

### მოაგვარეთ გაზეთების განაწილების საქმე.

1-ლ ლეგ. სამკითხველოს გამგის საყურადღებოთ.

ჩვენი ლეგიონის სამკითხველო ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც ვერ ანაწილებს გაზეთებს წესიერად ასეულებს შორის. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ზოგიერთ ასეულს მიუღია მარტო გაზ. „წითელ არმიელი“, ზოგს. გაზ. „მუშა“ და არა ერთნაც და მეორეც. ასე ხდება სხვა გაზეთებზედაც.

საჭიროა სამკითხველოს გამგე უფრო ყურადღებით მოეპყრობოდეს გაზეთების განაწილების საქმეს ასეულებს შორის და ბოლო მოეღებოდეს ასეთ არევ-დარევას.

სამხკორი უ-ტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება.

**2-რე არტლეგიონი.**

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ლეგიონში პარტმუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. ლეგიონის მაშტაბით ყველა ბატარიებში არსებობს პარტ-უჯრედები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს ბიურო კოლექტივი.

15 ივლის-დან უჯრედებში ჩატარებულია: გლეხთა საკითხი, ჭიათურის კონცესია, მე 14 პარტკონფერენციის შედეგები და სხვა საორგანიზაციო კითხვები. შემდეგ ეს საკითხები გადატანილია ლეგიონის გაერთიანებულ კრებაზე, სადაც უფრო ფართო მაშტაბით არიან განხილული.

ბიურო კოლექტივის მიერ მოწვეულ იყო აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში სამჯერ წ. არმიელთა უფ და პოლიტ-შემადგენლობის გაერთიანებული კრებები, რომელზედაც ირჩეოდა ლეგიონის შინაური საკითხები და კეთდებოდა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ლეგიონში არსებობს ლენიმნიზმის შემსწავლელი წრე, პოლიტსკოლა და კომკავშირის წრე, რომელზედაც მიმაგრებულია ბიუროკოლექტივის მიერ პოლიტ-შემადგენლობიდან მომზადებული ამხანაგები. მეცადინეობა წრეებში სწარმოებს კვირაში ერთხელ. ამხანაგები სისტემატიურად ესწრებიან.

15 აგვისტოდან ლეგიონში გამოცხადდენ საერთო შეკრებაზე გამოწვეული ცვალებადი პოლიტშემადგენ. პარტიული ამხანაგები, რომლებიც ჩაბმული არიან პარტ პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობაში.

5 სექტემბრიდან ლეგიონში უნდა გამოცხადდენ ახალი ცვალებადი წ. არმიელები, რომლისთვისაც ბიურო კოლექტივს გამომუშავებული აქვთ პოლიტიკურ დარგში სამეცადინო პროგრამა და აგრეთვე დანიშნული არიან მათთან სამუშევრად პოლიტიკური ხელმძღვანელები. ცვალებად წ. არმიელების მოსვლის წინა დღეს ბიურო კოლექტივის მიერ იქნება მოწყობილი საერთო გაფართოებული კრება, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენება ტერიტორიალურ მშენებლობაზე.

**მ. მაჩიტაძე.**

**1 ლი ლეგ. 3 და 1-ლი ასეულების გაერთიანებული კრება.**

30 აგვისტოს შესდგა აღნიშნულ ასეულების კომუჯრედის ღია კრება. დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: რემედასის და საჰაერო ფლოტის შესახებ. კრებაზე ვრცლად იქნა განმარტებული ორთავე საკითხების მნიშვნელობა. განსაკუთრებით მომხსენებელი დიდხანს შეჩერდა საჰაერო ფლოტის გარშემო და მის მნიშვნელობაზე ომიანობისა და მშვიდობიანობის პირობებში. იყო მრავალი შეკითხვებიც. კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია რომ ყოველმხრივად შეეცდებიან ხელი შეუწყონ საჰაერო ფლოტისა და რემედასის სასარგებლოდ მუშაობას.

თავის მხრივ არმიელებმა აღგვითქვეს, რომ უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ სოფლად სხვა მუშაობასთან ერთად შეეცდებიან გასწიონ აგიტაცია ამ ორგანიზაციების სასარგებლოდ.

კრებამ ამას გარდა მოისმინა მოხსენება უვადო შვებულებაში წამსვლელ არმიელების მუშაობის შესახებაც, რომ ხელი შეუწყონ სოფლის სამეურნეო აღორძინების საქმეს.

სამხკორი **ვ. ჩაგელიშვილი.**

# უცხოეთის არმიებში

## ამერიკა.

**საზაფხულო სტაჟის გავლა ჯარის ყველა გვარის ოფიცრების მიერ.**

შეერთებულ შტატების სამხ. სამინისტრომ ეხლა ხანებში გამოსცა განკარგულება, რომელსაც შეაქვს დიდი ცვლილება არმიის ოფიცერთა შემადგენლობის მომზადებაში. გამოდის რა იმ გარემოებიდან, რომ ავიაცია თანამედროვე ომში თამაშობს მეტად დიდ მნიშვნელოვან როლს, ბრძანება აუცილებელ საჭიროებად სთვლის მწყობრის ოფიცერთათვის საჰაერო საქმის კარგად ცოდნას და საჰაერო ძალების გამოყენების გაცნობას, რათა საბრძოლო პირობებში სწორად და ბოლომდი გამოიყენონ საჰაერო ძალები. ავიაციის ფართედ და სავსებით გაცნობისათვის დაწესებულია ისეთი დებულება, რომლითაც ჯარის ყველა გვარის თითეულ რიგის ოფიცრის თვის სავალდებულოა გავლა საავიაციო ნაწილებში განსაზღვრული სტაჟისა, რომელშიაც შედის სხვათაშორის არა ნაკლებ 10 საათის ფრენაც. პირველ ხანებში ეს განკარგულება გავრცელდება მხოლოდ ახალგაზრდა ოფიცრებზე, მომავალში კი განზრახულია ჩაბმულ იქნან გაფრენებში ძველი მეთაურთა შემადგენლობაც, იმ პირობით თუ ისინი ფიზიკურად გამოსადეგი იქნებიან ამ საქმისათვის.

1926 წ. დაწყებული, ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული იმისთვის, რათა მიეცეს შესაძლებლობა ჯარების სხვა გვარების ოფიცრებს ექნეთ რაც შეიძლება მეტი საზაფხულო პრაქტიკა.

სამხედრო სკოლებიდან გამოშვებული ყველა ახალი ოფიცრები გაგზავნილი იქნებიან ჰაეროდრომებზე სტაჟის მისაღებად საავიაციო საქმეში. მხოლოდ ისეთი ოფიცრები, საზაფხულო სტაჟი ჩაითვლებიან სავსებით მომზადებულად თანამდებობის მისაღებად.

გაზრახულია გაფრენებისთვის ოფიცრებს მიეცეს დამატებითი ფული. ისინი დაზღვეული იქნებიან გაფრენების დროს სახელმწიფოს ხარჯზე. სამხედრო სამინისტრო დაიმედებულია, რომ ეს ზომები დაამყარებენ მჭიდრო კავშირს და ურთიერთობას ჯარის სხვა გვარებისას საჰაერო ძალებთან.

ამავე დროს ბრძანება ითვალისწინებს საჰაერო ძალების ოფიცრების მიერ სხვა გვარი რომელთაც ექნებათ გავლილი ჯარების სტაჟის გავლასაც.

# ამბები სოფლებიდან.

**დუშეთის კეთილმოწყობა.**

დუშეთის ადგილობრ. მეურნეობის განყოფილება შეუდგა ქალაქის ქუჩების გამშვენიერებას და ქვაფენილის მოგებას.

**ექიმების თათბირი.**

ბორჩალოს აღმასკომმა მოიწვია სარაიონო ექიმთა თათბირი, მაზრაში საექიმო საქმის სათანადო დონეზე დაყენებისათვის ზომების გამოსამუშავებლად.

**რუსეთში გადასახლება.**

სოფ. ბაშკიჩეთიდან (ბორჩ. მაზრა) რუსეთში ესახლებიან ადგილობრივ მოსახლე ზოგი რუსის ოჯახები.

**ტელეფონი დუშეთში.**

დუშეთის აღმასკომმა სთხოვა ფ.-ტე. სახ. კომისარიატს მიიღოს ზომები დუშეთის ტელეფონის ქსელის შესაკეთებლად.

# ახალი ამბები.

— კედლის გაზეთების გამოფენა. ამჟამად ქართული ნაწილებიდან პოლიტგანყოფილება აგროვებს კედლის გაზეთებს მოსკოვში კედლის გაზეთთა გამოფენაზე გასაგზავნათ.

— საგლეხო ლიტერატურა წითელ-არმიელთათვის შეიძინა პოლიტგანყოფილებამ და ამ დღეებში დაურიგებს ნაწილებს.

— მოტოციკლეტები. ამ. კავ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ხელზე ბათომში მიღებულია ხარლეის სისტემის მოტოციკლეტები.

— მეაბრეშუმეობის შესწავლა. საზოგადოება აბრეშუმშეუამდგომლობა აღძრა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე სკოლებში მეაბრეშუმეობას სავალდებულო საგნათ შემოღების შესახებ.

— დახმარება დაზღვეულებს. დაზღვევმა სალარომ მისცა დახმარება აგვისტოს განმავლობაში 1.779 დაზღვეულს.

— შუშხუნების გამოწერა. სახალხო მამულების ტრესტმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 300 ათასი ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

— მებამბეობისათვის. საქ საბამბო კომიტეტმა მებამბეებს წინდაწინვე დაურიგა ბამბის საფასურათ 368 848 მანეთი.

— დაზღვეულთა მკურნალობა. მიმდინარე წელს სამკურნალოთ გაიგზავნა აგარაკებზე 1325 დაზღვეული.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** წიგნის კამპანიის ჩასატარებლად ყველა ნაწილის ბიბლიოთეკებმა მიიღეს სამნეო თანხიდან ფულით დახმარება. მეხუთე ლეგიონის სამნეო ნაწილმა კი უარი განაცხადა ასეთ დახმარების მიცემაზე. გთხოვთ გვიპასუხოთ ვალდებულია თუ არა სამნეო ნაწილი ფულით დაეხმაროს ბიბლიოთეკას?

ბიბგამგე **დევაძე.**

**პასუხი.** თანახმად § 32 სამნეო ნაწილს ეძლევა ბიბლიოთეკებისათვის სპეციალური თანხა, რომელიც უნდა ხმარდებოდეს ბიბლიოთეკის საჭიროებას. ამ თანხიდან თქვენ უნდა მოგეცეს დახმარება.

**კითხვა.** მე ვარ ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტი. უკანასკნელ გამოშვების დროს უნდა გამოვეშვით უფროს მეთაურად, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს ასე არ მოხდა. შემდეგ ბრძანების თანახმად უნდა გამოვეშვით უმცროს მეთაურად, მაგრამ სკოლის უფროსმა დამტოვა კურსანტად. გთხოვთ მიპასუხოდ მეკუთვნის თუ არა უმცროს მეთაურის ჯამაგირი?

**ვლ. წი—ძე.**

**პასუხი.** არ გეკუთვნით.

**კითხვა.** შორს და ახლოს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს ერთნაირად მიეცემათ თუ არა მაზარა და ტანსაცმელი?

**წ. არმ. ი. ბ—ლი.**

**პასუხი.** ყველას ერთნაირად მიეცემა.

**კითხვა.** მე ვარ მივლინებული სამხედრო კომისარიატში. 5 ივლისს გამქურდეს. წაღებულია მაზარა, შარვალი და ხალათი. დავრჩი უტანისამოსოდ მომეცემა თუ არა ახალი ტანსაცმელი?

წითელი ა მ. შ. **ტატიშვილი.**

**პასუხი.** თქვენ რომ გაქ რდეს უნდა მოხდეს ამის შესახებ კვლევა ძიება. დამტკიცების შემდეგ მოგეცემათ ტანსაცმელი.

# მეცნიერება და ტექნიკა

**როგორ გავახანგრძლივოთ ადამიანის სიცოცხლე.**

(იხ. გაზ. „წითელ-არმიელი“ № №198-199).

(დასასრული)

ყველა ამ ავადმყოფობასთან (ქლექი, ბავშვთა სნეულება, გადამდები, საწარმოო და სხვა) მედიცინა იბრძვის უმთავრესად მათგან მოფრთხილების გზით (თავდასაცავი წინასწარი აცრა, ჰიგიენა შრომის, ბინის და სხვა.) ამრიგად ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება ამ უკანასკნელ 75 წ. განმავლობაში უნდა მიეწეროს გამაფრთხილებელ მედიცინის წარმატებით შედეგებს.

ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების გზა ჩვენთვის ეხლა ნათელია: 1) გამაფრთხილებელი მედიცინის შემდეგი განვითარება, 2) ენერგიული ბრძოლა ისეთ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომელთა მომაკვდინებელი ძალა მეტად დიდია: გულის, ტვინში სისხლის ავარდნის, ჰაჰების და კიბოს.

მაგრამ როგორ ვებრძოლოთ? მედიცინა მთელი თავისი საშუალებებით მათ წინაშე მეტად უღონოა, წინასწარი აცრა და სხვა გასაფრთხილებელი საშუალებები ჯერ არავის გამოუგონია. მაგრამ მდგომარეობა არაა უიმედო. ეს ავადმყოფობანი საშიში არ არიან თავის განვითარების პირველ საფეხურში; თუ თავის დროზე შემჩნეული იქნება ეს პირველ დაწყებითი საფეხური, მაშინ იმ საშუალებებით, რომელიც მედიცინის განკარგულებაშია შეიძლება თუ მისგან სავსებით განკურვნა არა, მათი შემდეგი განვითარების შეჩერება მაინც.

პირველ დაწყებით საფეხურის კიბოს მორჩენა შეიძლება აპერაციით ან რადიოს სხივებით. გული, სისხლის მილები და ჰაჰები შეუმჩნევლად დაავადმყოფდებიან, როგორც შედეგი რაიმე ახალ გავლილ ავადმყოფობის, ან როგორც უწესო ცხოვრების შ ე დ ე გ ი, ფ ი ზ ი კ უ რ ა დ და გონებრივად ნამეტანი დაღალვისაგან, ღარიბი ცხოვრებისაგან ან წინააღმდეგ ნამეტან ფუფუნებისაგან.

ბრძოლა ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ მდგომარეობს მასში, რომ ადამიანმა უნდა მიმართოს ექიმს რჩევა-დარიგებისათვის არა მარტო მაშინ როცა ის ავადაა, არამედ მაშინაც როცა ის ჯანსაღადაა. აი სწორედ ეს ორი: მოსაფრთხილ მედიცინის განვითარება და სანიტარულ—ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესება—თავდებია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა

„ნაუკა ი ტეხნიკა“

**ექ. ზ. მერიმსკი.**

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსრ. ლეგ. მე-2 ასეულის კომუჯრედში აქვთ განცხადება შემოტანილი უპარტიო ათის თავებს ამხ. ისიდორე სოფრომაძეს და მიხეილ კვიკვიძეს კომ. პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ასეულის კომუჯრედში.

მე-2 ასეულის **კომუჯრედი.**

მე-2 დივ. პოლიტ-განყოფილების კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კ. წევრებს პარტიაში კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ნადარეიშვილი გაბრიელ ა. ლ. კ. კ. წ. 1921 წ. და ა. შაქარაშვილი ლევან ა. ლ. კ. კ. წევრი 1921 წ.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში.

პოლიტ-განყ. კომ-უჯრედის ბიურო.

**დაკარგა** თბილისის მეცხრე კომისარიატიდან გაცემული სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი №3499 ალექსანდრე სოლ. სირაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.